მყარი სხეული, სითხე და აირი

დააკვირდი საგნებს, რომლებსაც ხედავ შენ ირგვლივ. შენი აზრით, რით განსხვავდება ერთმანეთისგან მყარი სხეული, სითხე და აირი? წაიკითხე ტექსტი და შეამონმე, რა არის სწორი შენს პასუხში.



ბუნებაში არსებობს ბევრი *მყარი* (ანუ მაგარი) საგანი. ეს არის ქვა, რკინა, ყინული და სხვა. მყარ სხეულს აქვს ფორმა. როგორც იცი, ასევე არსებობს *სითხე* და *აირი*. სითხე იმ ჭურჭლის ფორმას იღებს, რომელშიც ის არის ჩასხმული. სითხეა წყალი, რძე, ლიმონათი და სხვა. აირი კი ჰაერში **იფანტება**. აირი გაზია. მას ფორმა არ აქვს.

მყარმა სხეულმა შეიძლება ფორმა შეიცვალოს. როცა მყარი სხეული ცხელდება, ის დნება. თუ უფრო მეტად გავაცხელებთ, ორთქლად იქცევა. მოდი წყლის მაგალითზე ვნახოთ, როგორ ხდება ეს.

წყალი სითხეა. როცა ძალიან ცივა, ის იყინება. ყინული უკვე მყარი სხეულია. სიცხის დროს ყინული დნება. როცა წყალი ცხელდება, ჩვენ ორთქლს ვხედავთ. ის ჰაერში იფანტება. ეს აირია. ჰაერში გაფანტული წყლის ორთქლი ცივდება. ამ დროს აირი ისევ სითხედ იქცევა. მსგავსი მაგალითი სხვაც ბევრია ბუნებაში.

გაიხსენე მყარი სხეულის დნობის სხვა მაგალითი.

დონე: *B* გამართული, **კომპონენტი:** კატეგორიზაცია

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რას ვიგებთ პირველი აბზაციდან?

ა) რით განსხვავდება მყარი სხეული აირისგან.

ბ) როდის იცვლის ფორმას მყარი სხეული.

გ) რატომ იფანტება ხოლმე ჰაერში აირი.

2 გაყინული წყალი არის:

ა) მყარი სხეული. გ) სითხე. გ) უფორმო აირი.

3 წყლის გარდა, სითხეა ასევე:

ა) რკინა. ბ) რძე. გ) ქვა.

4 რომელი წინადადება გადმოსცემს <u>არასწორ</u> ინფორმაციას?

ა) აირი ჰაერში იფანტება.

ბ) წყალი მხოლოდ აირად იქცევა.

გ) სითხე ჭურჭლის ფორმას იღებს.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

აირი ჰაერში **<u>იფანტება</u>**.

ა) იშლება. ბ) ქრება. გ) გროვდება.

2 მარაგიდან სწორად შეარჩიე წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები.

წყალი	ფორმა	ორთქლი

1. როცა წყალი დუღს, ---------- ჰაერში იფანტება.
2. მყარ სხეულს აქვს ----------, რომელიც შეიძლება შეიცვალოს.
3. მაღალ ტემპერატურაზე ---------- იწყებს აორთქლებას.

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) დნება – იყინება. ბ) იფანტება – იშლება. გ) ცხელდება – ცივდება.

4 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) ლიმონათი. ბ) წყალი. გ) რძე. დ) ყინული.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

---------- შეიძლება ფორმა შეიცვალოს.

ა) ყინული. ბ) ყინულმა. გ) ყინულს.

2 შეარჩიე სწორი ფორმა და ჩაწერე წინადადებებში.

1. სითხე ---------- ფორმას იღებს. *(ჭურჭელის / ჭურჭლის)*
2. ჰაერში ---------- ორთქლი ცივდება. *(წყლის / წყალის)*

გრამატიკა

3 **სწორი ფორმით დაწერე წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები.**

ნიმუში: მე ვხედავ ორთქლს.

1. შენ ---------- ორთქლს.
2. ის ---------- ორთქლს.

4 **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

რა?	*რად?*
ნიმუში: ყინული	*ყინულად*
აირი	
ორთქლი	

წერა

1 **დაწერე ტექსტის მიხედვით, როგორია აირი, სითხე და მყარი სხეული.**

სითხე	_____ _____
აირი	_____ _____
მყარი სხეული	_____ _____

2 **ჩამოთვალე, სად გინახავს წყალი მყარი სახით.**

_____

_____

_____